# ახალი აღთქმა მოინათლეთ ახ32გგ

ამისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ: (I პეტრე 2:21)
მოხდა იმ დღეებში,რომ მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთიდან და მონათლულ იქნაიოანეს მიერ იორდანეში. (მარკოზი 1:9)
როცა მთელი ხალხი ინათლებოდა და იესოც მოინათლადა ლოცულობდა გაიხსნა. (ლუკა 3:21)
ამიტომ წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისადა სულიწმიდის სახელით. (მათე 28:19)

ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო, ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება. (მარკოზი 16:16)
ექადაგათ მისი სახელით მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში, დაწყებული იერუსალიმიდან. (ლუკა 24:47)

ამრიგად მტკიცედ იცოდეს ისრაელის მთელმა სახლმა, რომ გახადა უფლად და ქრისტედ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით." ეს რომ მოისმინეს, გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს: „როგორ მოვიქცეთ, კაცნო, ძმანო?" ხოლო პეტრემ უთხრა მათ: „მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. (საქმეები 2:36-38)

მაგრამ როცა ერწმუნენ ფილიპეს, რომელიც ახარებდა ღვთის სასუფევლისა და იესო ქრისტეს სახელის შესახებ, ინათლებოდნენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც. (საქმეები 8:12)

ვინაიდან მანამდე არც ერთ მათგანზე არ იყო გადმოსული,მხოლოდ მონათლულები იყვნენ უფლის იესოს სახელით. (საქმეები 8:16)

ფილიპემ გახსნა თავისი ბაგეები, დაიწყო ამ წერილით და ახარა იესოს შესახებ. გზა განაგრძეს და მიადგნენ ერთ წყალს. ეუბნება საჭურისი: „აჰა, წყალი, რა მაბრკოლებს რომ მოვინათლო?" ხოლო ფილიპემ მიუგო მას: „თუ მთელი გულით გწამს, შეიძლება." მან უპასუხა: „მწამს, რომ იესო ქრისტე ღვთისძეა." უბრძანა ეტლი გაეჩერებინათ. ორივენი ჩავიდნენ წყალში, ფილიპე და საჭურისი, და მონათლა იგი. (საქმეები 8:35-38)

....ძმაო, საულ, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ,რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით." და მაშინვე, თითქოს ქერცლი მოსძვრაო მის თვალებს, თვალები აეხილა, ადგა და მოინათლი. (საქმეები 9:17,18)

ახლა რაღად აყოვნებ? ადექი, მოინათლე, ჩამოირეცხე შენი ცოდვები და მოუხმე უფლის სახელს.' (საქმეები 22:16)

და უბრძამა მათ, მონათლულიყვნენ იესო ქრისტეს სახელით. მაშინ სთხოვეს მას,რამდენიმე დღეს დარჩენილიყო მათთან. (საქმეები 10:48)

ერთი დედაკაცი, ქალაქ თიატირიდან, სახელად ლიდია, ძოწეულით მოვაჭრე, ღვთისმოშიში, ისმენდა. უფალმა გაუხსნა გული პავლეს სიტყვების მოსასმენად. როდესაც მოინათლნენ ის და მისი სახლეული,... (საქმეები 16:14, 15)

....ბატონებო, რა ვქნა, რომ გადავრჩე?" ხოლო მათ უთხრეს: „იწამე უფალო იესო და გადარჩები შენც და მთელი შენი სახლეულიც." უქადაგეს ღმერთის სიტყვა მას და ყველას, მის სახლში მყოფს. იმ ღამეს, იმ საათშივე შინ წაიყვანა ისინი, წყლულები მობანა და მაშინვე მოინათლნენ ის და ყველა მისიანი. (საქმეები 16:30-33)

კორინთოში აპოლონის ყოფნისას პავლემ მოიარა ზემო ქვეყნები, მივიდა ეფესოში და იპოვა ზოგიერთი მოწაფეთაგანი. უთხრა მათ: „თუ მიიღეთ სულიწმიდა, როცა ირწმუნეთ?" მათ კი მიუგეს: „არც კი გაგვიგონია, თუ არსებობს სულიწმიდა." უთხრა

მათ: „რიღათი მოინათლეთ?" მათ უპასუხეს: „იოანეს ნათლისღებით."     (საქმეები 19:1-3)

დადიოდა იგი იორდანეს მთელს მიდამოში და ქადაგებდა სინანულის ნათლისცემას ცოდვათა მისატევებლად.     (ლუკა 3:3)

ინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს.     (მათე 3:6)

„მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად: მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ, ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით."     (მათე 3:11)

პავლემ უთხრა მათ: „იოანე ნათლავდა მონანიების ნათლისცემით და ეუბნებოდა ხალხს, რომ ერწმუნათ მის შემდგომ მომავალი, ანუ, იესო ქრისტე." ხოლომათ ესმათ, მოინათლნენ უფალ იესოს სახელით.     (საქმეები 19:4,5)

ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით.     (რომაელთა 6:3,4)

მასთან ნათლისღებით დამარხულები მასთანვე აღდექით ღვთის ძალისადმი რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით.     (კოლასელთა 2:12)

ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით.     (გალატელთა 3:27)

http://www.sayadi-al-nas.com
صيادي الناس